აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამები (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა )

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2022 წლის 28-29 სექტემბერი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 10 ოქტომბერი, 2022 წ

თბილისი

შინაარსი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ....................................4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ....................................7

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან....................................13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ....................................13

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა....................................28

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ....................................43

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა ....................................50

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ....................................68

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს<br><br>წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი<br>არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 247865289 |
| ინსტიტუციის ტიპი | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | დიანა მჭედლიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | პროფესორი ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ქრისტინე ჩიხლაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ჯოვანა აბლოთია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი შპს, საქართველო |

[1]ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 | პროგრამა 7 | პროგრამა 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა | | | | | | |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა (კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს VII საფეხური;) | მასწავლებლის მომზადება( კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს VI საფეხური) | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | განათლების მაგისტრი (შემდგომი საგნების სწავლების უფლებით: ზოგადი განათლების საბაზისო და საშუალო | - | | | | | | |

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საფეხურის საგნები/საგნების ჯგუფი: I-IV კლასი - ქართული ენა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ძირითადი); არჩევითი (აირჩიეთ ერთი): V-VI კლასები: მე და საზოგადოება, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, „ჩვენი საქართველო“.) | | | | | | | |
| **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** | 0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით | 0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით | | | | | | |
| **ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]** | ზოგადი განათლების საბაზისო და საშუალო საფეხურის საგნები/საგნების ჯგუფი: | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგნები/საგნების ჯგუფი (აირჩიეთ ერთი) | | | | | | |

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I-IV კლასი - ქართული ენა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ძირითადი); არჩევითი (აირჩიეთ ერთი): V-VI კლასები: მე და საზოგადოება, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, „ჩვენი საქართველო". | 1 ქართული ენა და ლიტერატურა<br>2 მათემატიკა<br>3 უცხოური ენა (ინგლისური)<br>4 სოციალური მეცნიერებები (ისტორია)<br>5 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები<br>6 ეთიკური განათლება<br>7 სპორტი | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | | | | | | |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 300 | 60 | | | | | | |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)<br><br>შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | პირობით აკრედიტებული | პირობით აკრედიტებული | | | | | | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[4]

  კლასტერი შედგება ორი პროგრამისგან, (1) დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ინტეგრირებული საბაკალავრო – სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი), და (2) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი). თუკი პირველი პროგრამა 2021 წლიდან ხორციელდება, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში უკვე 2015 წლიდან ხორციელდება. კლასტერში შემავალი ორივე პროგრამა ეკუთვნის კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს 0114 სფეროს კლასიფიკატორს. ორივე პროგრამა იძლევა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას.

  ორივე პროგრამა შეიცავს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ პრაქტიკასა და საგნის მეთოდოლოგიის მოდულებს. პროგრამებს შორის ჩანს ლოგიკური კავშირი, როგორც ჩანს, ორივე პროგრამას აქვს პოტენციალი, დაეხმაროს სტუდენტებს მასწავლებლის პროფესიის გამოწვევებთან გამკლავებაში.

  როგორც ჩანს, უნივერსიტეტმა გამოიჩინა ძალისხმევა და იმუშავა წინა აკრედიტაციის პროცესში ჩამოყალიბებულ ყველა რეკომენდაციაზე (რომელიც პირობით აკრედიტაციას მოჰყვა) და შესაბამისი გაუმჯობესებები ამჟამად სახეზეა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტის განხორციელებამდე, 2022 წლის 26 სექტემბერს, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მოსამზადებელი შეხვედრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან, ბატონ ნიკოლოზ ფარჯანაძესთან, ქალბატონ ლალი ოდიშვილთან და ქალბატონ ნინო სარჯველაძესთან. ამ შეხვედრის ფარგლებში განიხილეს და დააზუსტეს შეფასებასთან დაკავშირებული აუცილებელი საკითხები. თავად ადგილზე ვიზიტი გაიმართა 2022 წლის 28 და 29 სექტემბერს. ვიზიტი იყო ჰიბრიდული ფორმატის. თავმჯდომარე და სტუდენტი წარმომადგენელი ვიზიტში ონლაინ ფორმით იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენი წევრები პროგრამების განმახორციელებელ (პროგრამების კლასტერის) უნივერსიტეტში პირადად იმყოფებოდნენ. ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა კარგად წარიმართა. მას ეფექტურად დაუჭირეს მხარი ქალბატონმა ლალი ოდიშვილმა და ნინო სარჯველაძემ, რომლებიც ასევე ფიზიკურად იმყოფებოდნენ უნივერსიტეტში. მთარგმნელობითი მომსახურება იყო ეფექტიანი.

---

[4]პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  სტანდარტი 1................ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  სტანდარტი 2................ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  სტანდარტი 3 .................. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  სტანდარტი 4................ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  სტანდარტი 5................ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**
  - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს კვლევის დაგეგმვა და განხორციელება პროგრამის სწავლის შედეგებში, როგორც ამას ის უკვე გეგმავს. (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)
  - კურსების სწავლის შედეგები ფორმულირებული უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი გაზომვადობა.
  - უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, კერძოდ, საერთაშორისო პარტნიორებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობისადმი ღიაობა, სტუდენტების მობილობაში ინვესტირება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.
  - უსდ-მ ხელი უნდა შეუწყოს თავის პერსონალს ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებაში, რაც მეტად სასარგებლო იქნება ამ პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევებისა თუ საერთაშორისო თანამშრომლობის გასაძლიერებლად.
  - უსდ-მ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც აკონტროლებს პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვას, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მათი დატვირთვის გათვალისწინებით.
  - უსდ-, ხელი უნდა შეუწყოს თავის აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, განსაკუთრებით მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებისა და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობისთვის.
  - უსდ-მ რეგულარულად უნდა შეუწყოს ხელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

- უსდ-მ რეგულარულად უნდა აწარმოოს პროგრამის პერსონალის მუშაობის შეფასება და გააანალიზოს შეფასების შედეგები. შეფასებამ უნდა გაითვალისწინოს მათი სწავლების დატვირთვა და კვლევითი საქმიანობა.
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს არსებული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების სისტემატური ხელმისაწვდომობა პერსონალისა და სტუდენტებისთვის.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გაააქტიუროს თავისი სამუშაო (ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები), რათა მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს, უკეთ ჩამოაყალიბოს სწავლების/სწავლის შეფასების შედეგები (გაზომვადი სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნები, რომლებიც გამოიყენება მოქმედებების გამოსახატავად); ეს გააადვილებს სწავლა/სწავლის პროცესების მონიტორინგს და შეფასებას შემდგომ ეტაპზე.
- რეკომენდებულია შრომის ბაზრის და კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მასწავლებელთა გადამზადებისთვის განკუთვნილი პროგრამების საჭიროებების სიღრმისეული შესწავლა . და, ამავე მიზეზით, გამოკითხვის ეფექტური ინსტრუმენტების შემუშავება.
- რეკომენდებულია სტუდენტების აკადემიური მიღწევების ანალიზის ჩატარება ყოველ სემესტრში, რადგან ეს შეიძლება გახდეს საფუძველი არსებითი ცვლილებებისთვის, როგორიცაა სწავლების კურსის შინაარსის შეცვლა, სწავლებისა და შეფასების მეთოდების ან შეფასების ფორმების შეცვლა და ა.შ.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**
  - განიხილეთ პროგრამის ცალკეულ მიზნებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერების შესაძლებლობა.
  - ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს უახლესი ვერსიებით.
  - უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მემორანდუმები რეგიონის სხვა სკოლებთან, რათა მის სტუდენტებს სასკოლო პრაქტიკის უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობები მისცეს. აშკარაა, რომ უკეთესი იქნება სტუდენტებისთვის, თუკი მეტი ისეთი სკოლა ექნებათ, სადაც მათი პრაქტიკული აქტივობები განხორციელდება.
  - სილაბუსებში შეტანილი შეფასების ზოგიერთი გრაფა ზედმეტად დეტალურია. ზოგიერთ გრაფაში მითითებულია რამდენიმე კრიტერიუმისთვის მინიჭებული 0,5 ქულა. ეს გრაფები ზედმეტად დეტალური და გასაგებად რთული ჩანს. რჩევა იქნება, ეს გრაფები გაამარტივოთ და ნაკლებ დეტალური გახადოთ.
  - ორივე პროგრამისთვის მიზანშეწონილია, რომ ბიუჯეტში მკაფიოდ ჩაიწეროს შემოსავლის ყველა პოტენციური წყარო და ხარჯების ყველა კომპონენტი.
  - მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება პროგრამის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესში მათი ჩართულობის შესახებ.

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს ტრენინგი პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალისთვის, რათა შეიმუშაოს უფრო ეფექტური და უფრო ადვილად აღქმადი პირდაპირი ინსტრუმენტი პროგრამების შედეგებისა და მათი სწავლა/სწავლების შესაფასებლად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

არ არის მითითებული

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა საკმარისი ძალისხმევა გამოიჩინა წინა აკრედიტაციის დროს, შეფასების ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაზე მუშაობის კუთხით, ეს შეიძლება ითქვას ყველა სტანდარტზე.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[6]
2. კლასტერული შეფასება[7]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |

[6] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[7] **შეფასების მიდგომები:** საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ორივე პროგრამას აქვს საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები. და როგორც ჩანს, მათ აქვთ ლოგიკური ურთიერთდაკავშირება. ასევე, ისინი შეესაბამება მთელი დაწესებულების მისიას, ამოცანებსა და გეგმებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რეგიონისა და ქვეყნის განვითარებას, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით. მასწავლებელთა მომზადება, უდავოდ, სწორედ ასეთ მისიას შეესაბამება. ასევე აშკარაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ექვემდებარება მონიტორინგსა და შეფასებას ამ ორი პროგრამის შემთხვევაში და ეს არის შედარებით მყარი საფუძველი პროგრამების შესაძლო გაუმჯობესებისთვის. გზამკვლევი, რომელიც მიუთითებს მიზნებისა და სწავლის შედეგების განვითარებაზე, ძალიან დამხმარე ინსტრუმენტია; პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების მეთოდოლოგია ნათელი და მისაღებია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 -ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი)**

ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი) თავისი მიზნებით უნივერსიტეტის მისიას შეესაბამება. ასევე, ასახავს მასწავლებელთა განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და

ითვალისწინებს ძირითადი საგნების სწავლებას: ქართული, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ასევე V-VI დამატებითი კლასები – ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო საგნები, „ჩვენი საქართველო“ „მე და საზოგადოება“ (მოსწავლე ირჩევს დამატებითი საგნებიდან ერთერთს). პროგრამა სამართლიანად აკეთებს აქცენტს თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და გამოცდილების ერთობლიობაზე, ასევე პროფესიული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებაზე. შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის თვალსაჩინოა . პროგრამის მიზნების განვითარების შემდგომმა ფაზამ შესაძლოა უფრო მეტად გაუსვას ხაზი ცალკეულ ნაწილებს შორის ურთიერთკავშირს და შედეგად გამოიღოს პროფესიული კომპეტენციის კონცეფცია და მეტი სივრცე შექმნას გაზომვისთვის.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** -მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში (60 ECTS), მიზნები ნათლად მიუთითებს სტუდენტის უნარზე „შეასრულოს უფროსი მასწავლებლის საქმიანობისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 12) მოცემულ საგნებში. პირველი პროგრამის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, ინდივიდუალურ მიზნებს შორის ურთიერთკავშირზე ყურადღების მეტად გამახვილება შესაძლოა უფრო მომგებიანი იყოს პროგრამისთვის, ისევე როგორც მეტი გაზომვადობა. თუმცა, მიმდინარე ვერსია კარგად ემსახურება შესაფასებელი პროგრამის სწავლის შედეგებზე შესაძლო მუშაობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- პროგრამების დოკუმენტაცია

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:** განიხილეთ პროგრამის ცალკეულ მიზნებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერების შესაძლებლობა.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი)))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 2** (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება** [8]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი) | **x** | | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS) | **x** | | ☐ | ☐ |

[8]შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის (300 კრედიტი), ჩამოყალიბდა სწავლის ექვსი შედეგი. ეს მოიცავს სწავლის განზოგადებულ შედეგებს, სასწავლო საგნის კომპეტენციებს, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, სტუდენტის და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას და კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას, კვლევითი უნარების მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ შედეგების ასეთი ნაკრები ქმნის შედარებით კომპლექსურობას და კარგად ემსახურება მიზანს.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS) მუშაობს ოთხი სწავლის შედეგით და აქ განსაკუთრებით სასურველი იქნებოდა რომ ყოფილიყო კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის უნარ-ჩვევების მეშვეობით.  თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია მსგავსი ნაბიჯის გადადგმა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა** 1 ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი); **პროგრამა 2** (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი))

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ  კლასტერში შემავალი ორივე პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და ასევე სწავლის სფეროს მახასიათებლებთან. ორივე პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ისინი რელევანტურია და შეიძლება იყოს მყარი საფუძველი პროგრამების რეალიზაციისთვის, მათი შეფასებისთვის და ასევე შესაძლო შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამების დოკუმენტაცია
- გასაუბრებები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა** 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 2** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS)

**რეკომენდაციები:**

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს კვლევის დაგეგმვა და განხორციელება პროგრამის სწავლის შედეგებში, როგორც ამას ის უკვე გეგმავს. (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

**რჩევები:**

..................

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა** 1 ზოგადი განათლების დაწყებითი | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი) | | | | |
| **პროგრამა** 2 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS) | **2** | **X** | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ორივე პროგრამის (კლასტერის) შემთხვევაში არსებობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. ისინი მოიცავს როგორც გარე, ასევე შიდა შეფასების (თვითშეფასების) ზომებს, მათ შორის არის საჯარო მონაცემების შეფასება, შეფასების რუბრიკები, შედეგების შეფასების გეგმა.. მთლიანობაში, ეს ზომები ქმნის შედარებით მთლიანობას, რომელსაც აქვს პოტენციალი, კარგად მოემსახუროს სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ შეფასების მიზნებს.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 -(ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი))**

ჩანს, რომ შეფასება წარმოადგენს პროგრამის დადებით და შედარებით ძლიერ ასპექტს და ბოლო დროს, ვითარდება.

შეფასების ფორმები მოიცავს ტესტებს, შემთხვევის შესწავლას, ვიქტორინებს, კვლევით ესეებს, პრეზენტაციებს, პროექტებს, სასწავლო ესეებს, პორტფოლიოებს და სხვა. ასევე, მონაცემები დასაქმების მაჩვენებლის, ტრენინგ კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობის შესახებ და სხვა აქტივობები არის სწავლის შედეგებთან დაკავშირებული შეფასების პროცესის ნაწილი. სტუდენტების შეფასება ასევე წარმოადგენს შეფასების ნაწილს პროგრამების კლასტერში და ეს არის დადებითი ნიშანი იმისა, რომ სტუდენტებიც ერთვებიან შეფასების პროცესში.

გამოყენებულია როგორც განმავითარებელი, ასევე შემაჯამებელი შეფასების ზოგიერთი ელემენტი. დადგენილია შეფასების პერიოდულობა.

განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები პროგრამების ფარგლებში ჩამოყალიბებული ყველა სასწავლო შედეგის მიმართ.

შეფასებიდან მიღებული მონაცემები გამოიყენება გაუმჯობესების მიზნით - კურსი(ებ)ს შინაარსის, სწავლის შედეგების მახასიათებლების შესაძლო ცვლილებების, შეფასების ფორმებისა და მეთოდების, სასწავლო და სასწავლო რესურსების ცვლილებების მიმართ.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო, თუმცა გასაუბრებების დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ბოლო წლებში, შეფასების პროცესი ვითარდებოდა, რამაც დადებითად შეუწყო ხელი პროგრამის განვითარებას და მასში პერსონალის და ასევე სტუდენტების ჩართულობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** -მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი)

ამ პროგრამაში გამოყენებულია როგორც განმავითარებელი, ასევე შემაჯამებელი შეფასება სწავლის შედეგების შეფასებასთან მიმართებით. პროგრამაში გამოყენებული შეფასების ძირითადი ფორმებია მიმდინარე შეფასება, შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა, შეფასების მეთოდები მსგავსია ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა (300 კრედიტი).

პროგრამის 1-ის მსგავსად (300 კრედიტი), როგორც დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულების მონაცემები გროვდება და მუშავდება, რათა შეფასდეს, თუ როგორ მიიღწევა სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგები ასევე შედარებულია სამიზნე ნიშნულებთან. ამ პროგრამის შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, შეფასება ბოლო წლებში კარგად ვითარდებოდა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამების დოკუმენტაცია
- გასაუბრებები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება/საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება/საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

..................

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება/საფეხური)** | x | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება/საფეხური)** | x | ☐ | ☐ | ☐ |

## 1,4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➢პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
➢პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამები, რომლებიც შეფასების ქვეშ მყოფი პროგრამების კლასტერის ნაწილია, შემუშავებულია უსდ-ის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. ამ პროცესში აისახება როგორც შიდა შესაძლებლობები და საჭიროებები, ასევე გარე გარემოებები, როგორიცაა ზოგადი განათლების განვითარების ეროვნული სასწავლო გეგმა (ე.წ. კონსოლიდირებული სასწავლო გეგმის ჩათვლით), დარგობრივი მახასიათებლები და სხვა ღონისძიებები.
300-კრედიტიანი პროგრამა ასევე მოიცავს თავისუფალ კომპონენტებს, საგნის/საგნობრივი ჯგუფის კომპონენტს და კვლევის კომპონენტს, რომელიც უფრო მეტ მოქნილობას იძლევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 -(ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი))**

პროგრამა შემუშავებულია პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების შესახებ უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად- ეს წესები ეტაპობრივად შეიცვალა.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად აგებულია საგნის/საგნობრივი ჯგუფის კომპონენტით, რომელსაც აქვს 90 კრედიტი (მათგან 10 არჩევითი), მასწავლებლის მომზადების მოდული 110 კრედიტით (20 არჩევითი), სკოლაში სტაჟირება (30 კრედიტი, აქედან 2 ლექცია), სტაჟირების კვლევითი მოდული (30 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტი 40 კრედიტით (მათგან 5 არჩევითი). სტრუქტურა მოიცავს ყველა ძირითად სფეროს და შეიძლება მივიჩნიოთ მყარ საფუძვლად პროგრამის განხორციელებისთვის.

პროგრამის სტრუქტურა და მისი მცირედი ცვლილებების შესაძლებლობები ასევე განხილულია სხვადასხვა ჯგუფში, მათ შორის სტუდენტებთან.

პროგრამის ახალ და პროგრესულ ელემენტებს შორის უნდა აღინიშნოს სტუდენტებისა და პერსონალის ერთობლივი კვლევითი მუშაობა - თვითშეფასების ანგარიშის მონაცემებისა და ინტერვიუში მონაწილე ზოგიერთი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** -მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი)

პროგრამა აგებულია უნივერსიტეტში არსებულ ნორმატიულ მოთხოვნებზე. მხედველობაში ასევე მიიღეს დარგობრივი მახასიათებლები და განათლებაში არსებული გარე რეფორმები.

პროგრამის ფარგლებში 35 კრედიტი ეთმობა სწავლების თეორიებს, 10 პედაგოგიურ პრაქტიკას, 15 პროგრამის არჩევით მოდულებს. არჩევითი მოდულები შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმის საგანს/საგნობრივ ჯგუფებს და ხელმისაწვდომია სულ 8 მოდული. თითოეულ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთი მოდული მთლიანი შეთავაზებიდან.

მთელ პროგრამას ერთი წელი სჭირდება და დაყოფილია ორ სემესტრად (თითოეული 30 კრედიტი). თითოეული კურსი დაკავშირებულია სწავლის შედეგ(ებ)თან ე.წ. შედეგების რუკაზე, რომელიც უნივერსიტეტმა შეიმუშავა ორივე პროგრამისთვის.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის ფარგლებში კვლევის ელემენტის შეტანა დაგეგმვის პროცესშია.

შეიძლება ითქვას, რომ კურსები ლოგიკურად არის აგებული პროგრამის ფარგლებში და, შესაბამისად, თავად პროგრამას აქვს ლოგიკური სტრუქტურა, რომელიც დადებითად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

ჩანს, რომ პერსონალი, სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები, რაღაც დონეზე ჩართულნი არიან პროგრამის განვითარებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- შესაფასებელი პროგრამების დოკუმენტაცია
- გასაუბრებები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება/საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება/საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

..................

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება/საფეხური)** | x | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება/საფეხური)** | x | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ორივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის, კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს შესაბამისი კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ზოგიერთი მათგანი საჭიროებს განახლებას. კურსების სწავლის შედეგები ფორმულირებული უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი გაზომვადობა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 -(ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 ECTS))**

სავალდებულო კურსების სტუდენტების სწავლის შედეგები შეესაბამება ორივე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სასწავლო საათების რაოდენობის გათვალისწინებით, შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ლოგიკურია. საკონტაქტო საათებისა და სწავლა-სწავლების მეთოდების რაოდენობა (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.) შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.
კურსების სწავლის შედეგები ფასდება სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მიხედვით. სწავლის თითოეული შედეგისთვის ცხრილში მოცემულია ინფორმაცია, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი არჩეული მეთოდი, რომლითაც ხდება მისი შეფასება. მითითებულია, რამდენი კურსი ეხმარება სტუდენტს სწავლის შედეგის მიღწევაში. კურსების სწავლის შედეგების შეფასებას აანალიზებს პროგრამის ხელმძღვანელი: სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, გამოკითხვებით, რეფლექსიით, თვითშეფასებით. კურსების სწავლის შედეგები დაჯგუფებულია სამი კომპეტენციის მიხედვით: ცოდნა და გააზრება უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომია. თუმცა, სწავლის შედეგების ფორმულირებაში შეინიშნება გაზომვადი ზმნების ნაკლებობა.
სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა არის შემთხვევები, სადაც საჭიროა, რომ სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი განახლდეს უახლესი ვერსიებით. აღსანიშნავია, რომ სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ლიტერატურა, მაგ., სახელმძღვანელოები,

სასწავლო მასალები, ეროვნული მარეგულირებელი დოკუმენტები, არის უახლესი ვერსიები და უზრუნველყოფს ორივე პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან.
ორივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოცემულია რუკა, რომელიც აჩვენებს კავშირს პროგრამასა და შესაბამისი კურსის სწავლის შედეგებს შორის.
განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში დანერგილია მოსწავლეთა თვითშეფასების პრაქტიკა. სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ იმ ცოდნას, რომელიც მიიღეს თითოეული კურსისა და ნასწავლი თემების მეშვეობით. უკუკავშირის სახით, მასწავლებელი ავსებს ამ ფორმას თავისი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით.

**აღწერა და ანალიზი– პროგრამა 2** -მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS)

სავალდებულო კურსების სტუდენტების სწავლის შედეგები შეესაბამება ორივე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სასწავლო საათების რაოდენობის გათვალისწინებით, შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ლოგიკურია. საკონტაქტო საათებისა და სწავლა-სწავლების მეთოდების რაოდენობა (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.) შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.
კურსების სწავლის შედეგები ფასდება სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მიხედვით. სწავლის თითოეული შედეგისთვის ცხრილში მოცემულია ინფორმაცია, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი არჩეული მეთოდი, რომლითაც ხდება მისი შეფასება. მითითებულია, რამდენი კურსი ეხმარება სტუდენტს სწავლის შედეგის მიღწევაში. კურსების სწავლის შედეგების შეფასებას აანალიზებს პროგრამის ხელმძღვანელი: სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, გამოკითხვებით, რეფლექსიით, თვითშეფასებით. ვინაიდან პროგრამა მოიცავს ერთ სასწავლო წელს, კურსის სწავლის შედეგების მიღწევა მოწმდება როგორც თავად სასწავლო კურსის ბოლოს, ისე მთლიანად სასწავლო წლის ბოლოს.
კურსების სწავლის შედეგები დაჯგუფებულია სამი კომპეტენციის მიხედვით: ცოდნა და გააზრება უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომია. თუმცა, სწავლის შედეგების ფორმულირებაში შეინიშნება გაზომვადი ზმნების ნაკლებობა.
სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა არის შემთხვევები, სადაც საჭიროა, რომ სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი განახლდეს უახლესი ვერსიებით. აღსანიშნავია, რომ სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ლიტერატურა, მაგ., სახელმძღვანელოები, სასწავლო მასალები, ეროვნული მარეგულირებელი დოკუმენტები, არის უახლესი ვერსიები და უზრუნველყოფს ორივე პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან.
ორივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოცემულია რუკა, რომელიც აჩვენებს კავშირს პროგრამასა და შესაბამისი კურსის სწავლის შედეგებს შორის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში დანერგილია მოსწავლეთა თვითშეფასების პრაქტიკა. სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ იმ ცოდნას, რომელიც მიიღეს თითოეული კურსისა და ნასწავლი თემების მეშვეობით. უკუკავშირის სახით, მასწავლებელი ავსებს ამ ფორმას თავისი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 ECTS) და სილაბუსები;
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS) და სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკა
- სტუდენტების მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმები
- თვითშეფასების ანგარიში;
- საბიბლიოთეკო რესურსები
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- კურსების სწავლის შედეგები ფორმულირებული უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი გაზომვადობა.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს უახლესი ვერსიებით.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება/საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება/საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

..................

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (სახელწოდება/საფეხური) | ☐ | x | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (სახელწოდება/საფეხური) | ☐ | x | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS) | x | ☐ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, საგანმანათლებლო საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს აქვს პროგრამაზე დაშვების სათანადო, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი**

პროგრამებზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმით, მეთოდოლოგიითა და სამიზნე ნიშნულებით.

სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა ყოველწლიურად განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია. სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის კრიტერიუმებია: ა) ადამიანური რესურსი, მაგ. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება სტუდენტთა კვოტის ლიმიტს და მათი თანაფარდობა არ აღემატება ერთ პერსონალს 15 სტუდენტზე, ბ) მატერიალური რესურსები, გ) საგანმანათლებლო დაწესებულებები, დ) ფინანსური რესურსები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (300 კრედიტი) დაშვების წინაპირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და „ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა ერთიანი ეროვნული გამოცდა უნდა ჩააბარონ 3 სავალდებულო საგანში და მე-4 გამოცდა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ არჩევით საგანში. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სტუდენტის სტატუსის მიღების უფლება ერთიანი

ეროვნული გამოცდების გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი პროგრამაში დაიშვება მობილობის წესების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები კანონმდებლობის შესაბამისია. ეს დოკუმენტები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე https://tbeli.ge.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტი) დაშვების წინაპირობები განისაზღვრება დარგობრივი ნიშნულებით და „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 472-ე მუხლით – მასწავლებლის მომზადების პროგრამა.

ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით, მასწავლებლის მომზადების პროგრამაში შეიძლება ჩაირიცხონ პირები, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის/მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანში/საგნობრივ ჯგუფში ან შესაბამისი მხატვრული/სპორტული/სამხედრო/პროფესიული განათლების მქონე პირები, რომლებმაც წარმატებით დაამტკიცეს საგნობრივი კომპეტენცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით.

ყველა წარმატებულმა აპლიკანტმა, რომელმაც ჩააბარა საგნობრივი კომპეტენციის გამოცდები, ასევე უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული წერითი გამოცდა. საგამოცდო ფორმატი არის „პედაგოგიური ესსე", რომელიც შექმნილია აპლიკანტის ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებისა და ხედვის გამოსავლენად.

ამრიგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურია და შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს.

ინფორმაცია პროგრამის მიღების მოთხოვნებზე საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე https://tbeli.ge. ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული წერითი გამოცდის ფორმისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ საჯაროვდება ერთი თვით ადრე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gu.edu.ge
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

...............

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პროგრამა (სახელწოდება, საფეხური)** | **2** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი**

ორივე პროგრამისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება.

კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, კურსის სილაბუსებში მოცემულია თეორიული სწავლისა და პრაქტიკული მუშაობის მნიშვნელოვანი თანაფარდობა. თითოეული კურსი ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს ამ პრაქტიკული უნარების მისაღწევად.

სასკოლო პრაქტიკას პროგრამაში აქვს სავალდებულო სტატუსი. პრაქტიკის ფარგლებში შესაძლებელია პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავება. ორივე პროგრამისთვის საერთოა სკოლებში პრაქტიკის განხორციელების პროცედურა. შესაბამის სილაბუსებში აღწერილია ის აქტივობები, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს პრაქტიკისთვის განსაზღვრულ სკოლაში. თავიანთი აქტივობების საფუძველზე სტუდენტები წერენ რეფლექსიას და კურსის ბოლოს აკეთებენ პრეზენტაციას სტუდენტურ კონფერენციაზე. სასკოლო პრაქტიკისთვის უნდა შეირჩეს პრაქტიკის ორი ხელმძღვანელი: ა) საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალიდან. გარდა აკადემიური ხარისხისა, იგი უნდა ფლობდეს მასწავლებლის

სტატუსს, ბ) პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების ადგილიდან – სკოლიდან. მას უნდა ჰქონდეს მასწავლებლის სტატუსი და არანაკლებ სამი წლის პედაგოგიური გამოცდილება.

უნივერსიტეტმა მემორანდუმი გააფორმა ორ სკოლასთან. ეს სკოლებია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა ხიჯაურში და წმინდა ტბელ აბუსერისძის სკოლა ხულოში. მემორანდუმებში დეტალურადაა აღწერილი მხარეების ვალდებულებები და მათი თანამშრომლობის პერსპექტივები. მემორანდუმის 1-ლი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: სტუდენტები გაივლიან პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ კომპონენტს. სტუდენტური პრაქტიკისთვის განსაზღვრული მესამე სკოლა უნივერსიტეტის ეზოშია განთავსებული. მან აკრედიტაცია გაიარა 2022 წლის აპრილში.

როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, პრაქტიკის ობიექტებზე თითო მასწავლებელზე მიმაგრებულია 4 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი. როგორც ჩანს, უკეთესი იქნება, რომ მეტი სკოლა იყოს მზად პრაქტიკული საქმიანობისთვის სტუდენტების მისაღებად. უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მემორანდუმები რეგიონის სხვა სკოლებთან, რათა მის სტუდენტებს სასკოლო პრაქტიკის უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობები მისცეს.

აღსანიშნავია, რომ ორივე პროგრამის სილაბუსებში შედის კვლევითი საქმიანობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები. მასწავლებელთა კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობა აძლიერებს პროგრამაში ჩართული სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას. უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება სტუდენტური კონფერენციები და ამ კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობა ტრადიციად იქცა. მათი საქმიანობის ამსახველი სტატიები ქვეყნდება პედაგოგიურ გაზეთში „ახალი განათლება“, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში სამეცნიერო-პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება კვლევითი პროექტების განხორციელება და სტუდენტებისა და მენტორების თანაავტორობით სტატიების მომზადება.

**აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი) უზრუნველყოფს სტუდენტების კვლევითი, შემოქმედებითი და სამეცნიერო უნარების განვითარების პირობების შექმნას პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტს შეადგენს. იგი მოიცავს კურსებს „პედაგოგიური კვლევის მეთოდები“, 5 კრედიტი, „განათლების უახლესი კვლევები“, 5 კრედიტი და „სამაგისტრო ნაშრომი“ 20 კრედიტი.

სასკოლო პრაქტიკის პერიოდში სტუდენტებს ხელმძღვანელობს კვალიფიციური პირი. ყველა მასწავლებელი, რომელიც ხელმძღვანელობს პრაქტიკას, არის ლიდერი და მენტორი.

პროგრამაში პედაგოგიური პრაქტიკის ოდენობა შეადგენს 30 კრედიტს, მათ შორის 28 კრედიტი სავალდებულოა, 2 კი არჩევითი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად (60 კრედიტი) კურსის სილაბუსებში იგეგმება სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობა, რომელთა შორის პრაქტიკული აქტივობები ნახევარზე მეტს ადგენს. დაგეგმილია კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარება, როგორც სასკოლო პრაქტიკის კურსებზე, ასევე კურსზე „პერსონალური პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“.

აქცენტი კეთდება „პრაქტიკული სწავლის“ განვითარებაზე და სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობა.

პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში სტუდენტებს ხელმძღვანელობს, ერთი მხრივ, საგნობრივი მეთოდოლოგიის ლექტორი, პროფესორი/მენტორი მასწავლებელი, მეორე მხრივ კი სკოლის წამყვანი მასწავლებელი.

ორგანიზებულია პედაგოგიური პრაქტიკა. პრაქტიკის დროს სტუდენტები ეცნობიან საგანმანათლებლო და სოციალური პროექტების დაგეგმვის, შესრულებისა და წარდგენის პროცესს. სტუდენტი სწავლობს სწავლა-სწავლების პროცესის მართვას, როგორც პირისპირ საკლასო პირობებში, ასევე დისტანციური სწავლების პირობებში.

პრაქტიკასთან ერთად სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას ხელს უწყობს კურსი „პერსონალური პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“, რომელიც პრაქტიკასთან ერთად ავითარებს სტუდენტის კვლევით უნარსაც. კურსის მიზანია სტუდენტმა განახორციელოს პერსონალური პედაგოგიური კვლევა, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო პრაქტიკის სრულყოფას, მისი პროფესიული საჭიროებების გამოვლენას და უწყვეტი პროფესიული განვითარების ორიენტირების დაგეგმვას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სასკოლო პრაქტიკის ორგანიზების გეგმები საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.
- სასკოლო პრაქტიკის კურსების სილაბუსები და პერსონალური პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის კურსი;
- პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელის არჩევის პროცედურა.

- მემორანდუმი საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლასთან.
- მემორანდუმი ხულოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სკოლასთან.
- სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული სტატიები გაზეთში „ახალი განათლება“
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- გასაუბრება პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ ადამიანებთან;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მემორანდუმები რეგიონის სხვა სკოლებთან, რათა მის სტუდენტებს სასკოლო პრაქტიკის უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობები მისცეს. როგორც ჩანს, უკეთესი იქნება, რომ სტუდენტებს მეტი სკოლა ჰქონდეთ პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

**...............**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების ამ საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამა ითვალისწინებს სწავლების/სწავლის და კვლევის სხვადასხვა მეთოდების წინასწარ განსაზღვრულ ჩამონათვალს. ასევე მოცემულია სწავლა-სწავლების ამ მეთოდების განმარტებები. კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლექტორი ირჩევს ამ მეთოდებს და მიუთითებს მათ სილაბუსში. სილაბუსების უმეტესობა მოიცავს სწავლების მეთოდების განმარტებებს, რაც სტუდენტს უადვილებს აღქმას. სწავლების მეთოდებს კურსებში არჩევენ მიზნის, სწავლის შედეგებისა და შინაარსის გათვალისწინებით. ლექტორს აქვს აკადემიური თავისუფლება, განსაზღვროს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მეთოდები და აქტივობები. ამიტომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები არ არის ერთგვაროვანი სილაბუსებში.

სხვადასხვა კურსში, ძირითადად, გამოიყენება შემდეგი მეთოდები და აქტივობები: ლექცია, ჯგუფური მუშაობა, სემინარი, ვერბალური მეთოდი, წერილობითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები და თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები, შემთხვევა, სიტუაციის ანალიზის მეთოდი, პედაგოგიური ინვარიანტი, საჩვენებელი მეთოდი, სოციალურ-ემოციური სავარჯიშოები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზის მეთოდი, სვეტების დაჯგუფება,

განმარტებითი მეთოდი, მოქმედებაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ჰოლისტიკური სქემები, რუბრიკები, პრეზენტაციები, შემეცნებითი დონეებისთვის შესაბამისი შეფასების ამოცანები, ნიმუშების ჩვენება, რთული ამოცანების მოდელირება, ფოკუსირებული დავალება, ინტერვიუ, „აზროვნების სამი სკამი“ და სხვა, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე დასაშვებია იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც სიაში არაა შეტანილი (განსაკუთრებით დისტანციური სწავლების დროს). ზემოაღნიშნული მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და შეესაბამება კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს. კურსის სილაბუსების უმეტესობა აჩვენებს სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას.

სილაბუსებში მითითებული მეთოდები შეიძლება შეიცვალოს სტუდენტების მოთხოვნებისა და საჭიროებების მიხედვით. ისინი ასევე ითვალისწინებს თანამედროვე ტენდენციებს. მაგალითად, სტუდენტებმა ითხოვეს მეტი პრაქტიკული სავარჯიშოები კომპლექსურ დავალებებზე, რაც უმრავლესობისთვის რთული თემა იყო. უნივერსიტეტმა შეადგინა და შექმნა გზამკვლევი რთული დავალების დაწერის შესახებ.

პროგრამებში მითითებულია არა მხოლოდ სწავლების მეთოდები, არამედ დამოუკიდებელი მუშაობის ფორმები, როგორიცაა ბიბლიოთეკაში მუშაობა, ელექტრონული ბიბლიოთეკისა და წამკითხველის გამოყენება, კითხვა, ბიბლიოგრაფიის შექმნა, კლასიკური მონოგრაფიების და უახლესი სამეცნიერო-მეთოდური სტატიების კითხვა, საეკლესიო ლიტერატურის კითხვა, ზეპირი და წერილობითი მოხსენებების მომზადება და ინტერნეტ რესურსების მოძიება.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ორივე პროგრამის აკადემიური პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი „სწავლის-სწავლების აქტიური მეთოდები უნივერსიტეტში“.

**აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი) ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების-სწავლის და კვლევის მეთოდებით.

სილაბუსებში მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები თითოეული თემისთვის. გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ გატარებული სამუშაო დროის მონიტორინგი და შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

რამდენადაც მოსალოდნელია სტუდენტების ჩარიცხვა საზღვარგარეთიდან, საინგილოდან, არსებობს მზაობა, გათვალისწინებული იქნეს მათი კულტურული მახასიათებლები და შესაბამისად მოდიფიცირდეს სწავლის-სწავლების მეთოდები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი) განსაზღვრავს სწავლება/სწავლის და კვლევის ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობენ სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლა/სწავლებისა და კვლევის მეთოდების ეფექტური გამოყენების მიზნით აკადემიური პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი.

ტრენინგის შედეგად განისაზღვრა სწავლა/სწავლების კვლევის შეფასების მეთოდების ჩამონათვალი, თავისი განმარტებებით. ტრენინგი ეხებოდა სოციალურ-ემოციური შეფასების რუბრიკების გამოყენებას. ასევე, ჩატარდა კონკრეტული სემინარები თემაზე „ციფრული ინსტრუმენტები“ დისტანციური სწავლებისა და სწავლის მეთოდების დასაუფლებლად. სემინარის მიზანი იყო დისტანციური სწავლებისთვის შესაბამისი სწავლის-სწავლების მეთოდების დანერგვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სასწავლო მასალები; 1) შედეგზე ორიენტირებული სწავლა/აქტიური სწავლების მეთოდები საშუალო სკოლაში. 2) სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების ფორმები და მეთოდები.
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

...............

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი არის გამჭვირვალე, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა შეფასებას. სტუდენტების შეფასება ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით (შეფასება, შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა). პროგრამებში განსაზღვრულია ESTS შეფასების სისტემა, ხოლო დეტალური შეფასების კომპონენტები, ფორმები და მეთოდები შედის სილაბუსებში.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მე-20 მუხლი აღწერს სტუდენტთა შეფასების და გამოცდების ჩატარების წესებს.

პროგრამის კურსებში გამოიყენება შეფასების შემდეგი კომპონენტები: სხვადასხვა აქტივობა კლასებში, მონაწილეობა სემინარ/პრაქტიკულ სამუშაოებში, მოხსენებები, პრეზენტაციები, კვლევის კომპონენტები, შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდები და კურსის განმავლობაში გაკეთებული სხვა შეფასებები. კურსის საბოლოო შეფასება დაყოფილია ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და საბოლოო შეფასებების ჯამს. კურსის 100-ქულიანი შეფასებიდან 60 ქულა ენიჭება შუალედურ შეფასებას, ხოლო 40 ქულა - ფინალურ გამოცდას. შუალედური და დასკვნითი შეფასება შედგება შეფასების კომპონენტებისგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირ ან/და წერილობით კითხვარებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოს და ა.შ. სტუდენტის შეფასება შეუძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების კომპონენტის გამოყენებით.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განმავითარებელ შეფასებაზე, რათა სტუდენტმა შეძლოს კომენტარის გამოყენება გაუმჯობესებისთვის. როგორც გასაუბრებისას გვითხრეს, სტუდენტები შეფასების შედეგებს მალე ეცნობიან.

სტუდენტებს სწავლის დაწყებისას ეძლევათ კურსის სილაბუსი, ამიტომ ისინი კარგად იცნობენ თითოეულ კურსში გამოყენებულ შეფასების მეთოდებს.

ინტერვიუების დროს ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არის გამოწვევები მიმდინარე და შუალედური შეფასებების კორექტირებაში, რადგან სილაბუსების ავტორები უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ საბოლოო გამოცდაზე. თუმცა, სილაბუსებში შეტანილი შეფასების ყველა რუბრიკა საკმაოდ დეტალურია. ზოგიერთ რუბრიკაში მითითებულია

რამდენიმე კრიტერიუმისთვის მინიჭებული 0,5 ქულა. სილაბუსების ავტორებმა ინტერვიუებში განაცხადეს, რომ რუბრიკის გამჭვირვალობა აუცილებელია, რათა სტუდენტებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდეთ. თუმცა, როგორც ჩანს, ეს რუბრიკები ზედმეტად დეტალური და ძნელად გასაგებია.

გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ლექტორები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, სტუდენტებს აცნობენ მიღებული შეფასების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, უწევენ კონსულტაციას და ა.შ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხშირად ინდივიდუალურად იღებდნენ სიტყვიერ კომენტარებს. ასე იყო დისტანციური სწავლების პერიოდშიც, როცა შეფასებებს ფეისბუქ მესენჯერით იღებდნენ.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 27-ე მუხლი ეხება გამოცდების ჩატარების წესებს. გამოცდაზე სტუდენტი ვალდებულია გამოცხადდეს დანიშნულ დროს, დაიცვას დუმილი და წესრიგი, იმოქმედოს გამოცდაზე გამოცხადებული ინსტრუქციით და საგამოცდო დავალების შესრულების შემდეგ უხმაუროდ დატოვოს აუდიტორია. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტს ეკრძალება აუდიტორიის დატოვება, მობილური ტელეფონის გამოყენება, დამხმარე ჩანაწერების, საუბრების და ინფორმაციის გაცვლა.

საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესები ასევე განსაზღვრავს სტუდენტისთვის გამოცდის შედეგების გაზიარების ვადებს: ზეპირი გამოცდის დასრულებისთანავე, ხოლო წერილობითი გამოცდის დასრულებიდან - 4 სამუშაო დღეში.

ჩატარდა ტრენინგი „სტუდენტის სწავლის შეფასების ფორმები და მეთოდები".

უნივერსიტეტი ახორციელებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმს, რომელიც ცნობილია პროგრამის სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის, მაგრამ იშვიათად გამოიყენება. სტუდენტები შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურას ეცნობიან სასწავლო წლის დასაწყისში. გასაუბრებისას სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სთხოვეს, მოეყვანათ შეფასების გასაჩივრების მაგალითები, მაგრამ ვერავინ გაიხსენა ერთი შემთხვევაც კი.

უნივერსიტეტი ორივე პროგრამისთვის სტუდენტების შეფასების მონაცემთა შეგროვების ფორმის გამოყენებას გეგმავს. ეს ფორმა საინტერესო სიახლეა. ის უკვე გამოცდილია ერთ სტუდენტზე და მიჩნეულია სტუდენტისთვის ეფექტურ ინსტრუმენტად, რათა შეიქმნას მკაფიო სურათი მისი აკადემიური მიღწევების შესახებ და მას მიეცეს პროფესიული განვითარების დაგეგმვის საშუალება.

უნივერსიტეტს აქვს პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები.

მათ უკვე შეიძინეს პლაგიატის გამოვლენის პროგრამა. ამ პროგრამის შეძენამდე უნივერსიტეტს მეცნიერებათა აკადემიასთან ჰქონდა გაფორმებული კონტრაქტი სადაც შემოწმდა სამაგისტრო ნაშრომები პლაგიატზე.

პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესების მიხედვით, თუ აკადემიური განათლების ნებისმიერ საფეხურზე საგანმანათლებლო ან კვლევით კომპონენტებში შექმნილ წერილობით დავალებაში პლაგიატი აღმოჩნდება, კურსის ლექტორს უფლება აქვს დატოვოს წერილობითი დავალება შეფასების გარეშე და ფაქტის შესახებ აცნობოს ფაკულტეტის დეკანს.

**აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (საჭიროების შემთხვევაში)**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (300 კრედიტი) სტუდენტების შეფასება ტარდება ESTS სისტემით, უნივერსიტეტის შეფასების დებულების მიხედვით.

სტუდენტის შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების წესებსა და პროცედურებს, რომლებიც რეგულირდება „მაგისტრატურის დებულებით“.

სამაგისტრო ნაშრომი და ზეპირი სამაგისტრო გამოცდა/სადოქტოროს დაცვა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. ზეპირი დასკვნითი გამოცდის/დაცვის შეფასებას ახორციელებენ სპეციალური კომისიის წევრები/გამომცდელები დახურულ სხდომაზე, გამოცდის/დაცვის დასრულებისთანავე. ზეპირი დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულის ფარგლებში. ზეპირი დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მაგისტრანტი დააგროვებს მინიმუმ 21 ქულას.

სამაგისტრო ნაშრომი და ზეპირი სამაგისტრო გამოცდა/დაცვა ჩაბარებულად ითვლება, თუ სამაგისტრო დისერტაციისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის ქულების ჯამი მაქსიმალური შეფასების 50%-ზე მეტია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში (60 კრედიტი) სასკოლო პრაქტიკული კურსის დასკვნითი აქტივობაა შემაჯამებელი კონფერენცია. ეს არის მასწავლებელთა, ლექტორთა და სტუდენტთა ერთობლივი კონფერენცია, სადაც თითოეული სტუდენტი პრაქტიკოსი და პრაქტიკის ხელმძღვანელი წარმოადგენს პრაქტიკის პერიოდში შესრულებული სამუშაოს ანალიზს და შეფასებას. კონფერენციაზე იღებენ გადაწყვეტილებას სტუდენტ-პრაქტიკოსის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის წარმართვის ხარისხზე და ანიჭებენ

ქულებს. კონფერენციის გადაწყვეტილება განიხილება და მტკიცდება საგნის კათედრისა და ფაკულტეტის საბჭოს ერთობლივ სხდომაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტთა შეფასების მონაცემთა შეგროვების ფორმა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სილაბუსები;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება;
- მემორანდუმი Hosti.Ge ჯგუფთან ელექტრონული სერვისებით სარგებლობის შესახებ;
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესი
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სტუდენტის სახელმძღვანელო: https://tbeli.ge/files/2222%20.%20Tbeli-_-Studentis-cnobari-_-2021.pdf

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** სილაბუსებში შესული შეფასების ზოგიერთი რუბრიკა ზედმეტად დეტალურია. ზოგიერთ რუბრიკაში მითითებულია რამდენიმე კრიტერიუმისთვის მინიჭებული 0,5 ქულა. როგორც ჩანს, ეს რუბრიკები ზედმეტად დეტალური და ძნელად გასაგებია. ჩვენი რჩევაა, რომ რუბრიკები უფრო მარტივი და ნაკლებად დეტალური იყოს.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

| რჩევა/რჩევები: |
|---|
| ............... |

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.4 - სტუდენტის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების შესაბამისობა სტანდარტებთან

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების ადეკვატური შეფასება | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, (სახელწოდება, საფეხური VI) | x | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტების შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტთა ხელშეწყობისათვის აუცილებელი მომსახურებები უნივერსიტეტში ხორციელდება.

უნივერსიტეტში სტუდენტების მხარდაჭერის სერვისები ორივე პროგრამის სტუდენტებისთვის ერთნაირია. ძირითადად, კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებისთვის საერთოა „სტუდენტების მხარდაჭერის სამსახურის დებულება", რომელიც აღწერს საკონსულტაციო სამსახურში ჩართული პირების დატვირთვას, ფუნქციებსა და მოვალეობებს. სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, როგორიცაა ადგილობრივი პროექტები და ადგილობრივი კონფერენციები. ამ საქმიანობას უნივერსიტეტი არეგულირებს შემდეგი დოკუმენტებით: „უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება" და „სტუდენტური ინიციატივები, პროექტების პრეზენტაცია და უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცედურა".

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი სტუდენტებს აწვდის შესაბამის ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული პროგრამების შესახებ. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან რიგი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. თუმცა, უნივერსიტეტი აქტიურად არ მუშაობს ინტერნაციონალიზაციის გასაუმჯობესებლად. სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში, რომლებიც აერთიანებს საერთაშორისო განათლებას და კულტურული მრავალფეროვნების გამოცდილებას.

ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (300 კრედიტი) და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტი) აღწერა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (https://tbeli.ge/).

იგი შეიცავს დეტალურ ინფორმაციას საუნივერსიტეტო პროგრამაზე, სასწავლო მიზნებსა და შედეგებზე, მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე, კრედიტებსა და შეფასებებზე. თუმცა, დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია საორიენტაციო შეხვედრებზე, რომლებსაც პროგრამის წარმომადგენლები ესწრებიან. ყოველივე ეს სტუდენტს აწვდის ინფორმაციას მისთვის საინტერესო საკითხებზე. ასევე, სტუდენტები კურატორისგან იღებენ რჩევებს და დახმარებას სასწავლო პროცესის შესახებ.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ფარგლებში უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი ორ საჯარო სკოლასთან სტუდენტების სტაჟირების მიზნით. ეს მართლაც მნიშვნელოვანია უნარების გასაუმჯობესებლად, მაგრამ თუ უნივერსიტეტს სურს, რომ სწავლება და სწავლა უფრო აქტუალური იყოს, სტუდენტებს უნდა შესთავაზოს პრაქტიკისა და სპეციალობის დაუფლების მრავალი შესაძლებლობა.

**აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (საჭიროების შემთხვევაში)**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი)

კლასტერში გაერთიანებული პროგრამის სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები რამდენიმე ასპექტში ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავება არის პროგრამის მუშაობის ხანგრძლივ პერიოდში დაგროვებულ გამოცდილებაში (II პროგრამა - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი)) და ერთწლიან ფუნქციონირებაში (I პროგრამა - პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი), II პროგრამის გამოცდილება მოიცავს საკლასო და დისტანციური სწავლების პროცესს, ხოლო I პროგრამა - მხოლოდ დისტანციური სწავლების პროცესს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების დებულება
- სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისების გეგმა
- „უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება“.
- სტუდენტური ინიციატივები, პროექტის პრეზენტაცია და უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცედურა
- თვითშეფასების ანგარიში
- ექსპერტების ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, კერძოდ, საერთაშორისო პარტნიორებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის გახსნა, სტუდენტების მობილობაში ინვესტირება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

...............

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

| სტანდარტი 3.1 - სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების საშუალებას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი)

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ამ კუთხით პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა „მაგისტრატურის დებულება“, რომელშიც ასახულია მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და სხვა პროცედურები. ხელმძღვანელი რეგულარულად უტარებს დოქტორანტებს კონსულტაციებს. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია პროგრამისა და კვლევითი თემის სპეციფიკაზე.

სამაგისტრო ნაშრომი არის სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაო. ის უნდა ასახავდეს სწავლის პერიოდში მიღებულ ღრმა და სისტემატურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. სამაგისტრო ნაშრომის სათაური უნდა შეთანხმდეს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან მესამე სემესტრის დასაწყისში. ასევე, სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური პერსონალის წევრი ან მოწვეული პროფესორი,

დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. მაგისტრანტების ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური და პროფესიული გამოცდილება მაგისტრატურის ხელმძღვანელობაში. დაწესებულებამ დაამტკიცა დოკუმენტი მაგისტრანტის პოტენციური ხელმძღვანელების შესახებ, სადაც განსაზღვრულია მხოლოდ აკადემიური პერსონალის (მაგისტრანტთა პოტენციური ხელმძღვანელების) კვლევითი ინტერესის სფერო. სხვა დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის რეზიუმეში. შესაბამისად, ამჟამად სამაგისტრო ნაშრომების/მაგისტრატურების ხელმძღვანელების თანაფარდობა შეიძლება იყოს 10/24.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)[9]

| | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | **10** |
| //სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობა | **არ არის მითითებული** |
| მაგისტრანტთა რაოდენობა | **24** |
| //დოქტორანტთა რაოდენობა | **არ არის მითითებული** |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | **10/24** |
| თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები | **არ არის მითითებული** |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- სილაბუსი №64 "სამაგისტრო ნაშრომი";
- აკადემიური პერსონალის რეზიუმე
- სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის საქმიანობის შეფასების ფორმა.
- თვითშეფასების ანგარიში

[9] აუცილებლობის შემთხვევაში, დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

- ექსპერტების ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცია/რეკომენდაციები:**

**რჩევა/რჩევები:**

**...............**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

| კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

საგანმანათლებლო
პროგრამა (300 კრედიტი)

### პროგრამების შესაბამისობა სტანდარტებთან

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი) | x | | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი) | | x | ☐ | ☐ |

## 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. ასევე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ორივე პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისაგან, რომლებსაც აქვთ აუცილებელი კომპეტენციები სასწავლო კურსების ჩასატარებლად და ეხმარებიან სტუდენტებს პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
ორივე პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რაც საჭიროა პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის და ასევე, საჭირო კომპეტენციები პროგრამის სწავლების სფეროში. ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში.
ორივე პროგრამის აკადემიური რესურსები არის ძირითადად მსგავსი. ორივე პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქციები რეგულირდება უნივერსიტეტის რეგულაციით "პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით" და " საგანმანთლებლო პროგრამების დაგეგმვის, შექმნის, განხორციელებისა და განვითარების წესით".
საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონტრაქტის ფორმები, სამუშაო დატვირთვის მოთხოვნები ასევე არის მსგავსი ორივე პროგრამისთვის. ისინი თავსებადია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა რეგულაციებთან. თუმცა, უსდ-ს არ აქვს რამე მექანიზმი პერსონალის აკადემიური დატვირთვის კონტროლისთვის, რაც ასევე მოიცავს მათ დატვირთვას სხვა უსდ-ებში. "უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში" აღნიშნულია, რომ უსდ ასევე ითვალისწინებს პერსონალის დატვირთვას სხვა უსდ-ში, თუმცა ეს მიდგომა არ ხორციელდება პრაქტიკაში.
უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს აკადემიურმა/მოწვეულმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა არ

აჩვენა ინგლისური ენის კომპეტენცია, რაც ძალზედ მომგებიანი იქნებოდა პროგრამების შემდომი განვითარებისთვის. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევებისა და ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა I ( მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის - 300 კრედიტი)

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი დასაქმებულია უსდ-ს შიდა რეგულაციებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია არის მათი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი კვალიფიკაციებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით/მონოგრაფიებით/სახელმძღვანელოებით. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და კომპეტენციებით. თუმცა, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია აჩვენებს, რომ პროგრამისთვის სასარგებლო იქნება თუ აკადემიური პერსონალი გამოაქვეყნებს უფრო მეტ სამეცნიერო ნაშრომს, განსაკუთრებით მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა იქნება ასევე სასარგებლო.
უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშში არ არის ინფორმაცია სამაგისტრო თეზისების ხელმძღვანელებთან დაკავშირებით. ინტერვიუების განმავლობაში, ეს ფაქტი იყო ახსნილი იმ გარემოებით, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ პირველი და მეორე კურსის სტუდენტები სწავლობენ. როგორც ისინი ვარაუდობენ, იგივე სამეცნიერო პერსონალი იქნება ხელმძღვანელობაში. ადგილზე ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა პოტენციურ ხელმძღვანელებთან დაკავშირებით ინფორმაციის წარდგენა. უსდ-მ წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია, რომ აკადემიური პერსონალის 10 წევრი იქნება შეთავაზებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად. მათი რეზიუმეები ადასტურებს მათ კომპეტენციასა, რომ დაეხმარონ სტუდენტებს სამაგისტრო თეზისის სწავლის შედეგების მისაღწევად.
პროგრამას აქვს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომლის განახლებაც ყოველ სემესტრში ხდება. თუმცა ეს ინფორმაცია არ არის ნათელი, რადგან არ არის კონკრეტული საათები მითითებული შესაბამის ცხრილში. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს არ აქვთ დიდი დატვირთვა და ეს არის მაქსიმუმ 8 საათი დღეში, კვირაში 4 სამუშაო დღე. ინტერვიუებზე დაყრდნობით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა არის შესაბამისი მათი მოვალეობების შესასრულებლად.
პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური პერსონალის გარდა, არის 4 მენტორი, 1 ლიდერი და 3 უფროსი მასწავლებელი, რომლებიც ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში. ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია. სასწავლო პროცესის გარდა, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის განვითარებაში.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დამოწმებულია შესაბამისი განათლებით, დარგში პრაქტიკული გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით. ინტერვიუების განმავლობაში, როგორც გამოვლინდა, პროგრამის ხელმძღვანელი არის უშუალოდ ჩართული პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და ა.შ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მასწავლებლის სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა ( 60 კრედიტი))

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი დასაქმებულია უსდ-ს შიდა რეგულაციებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია არის მათი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი კვალიფიკაციებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით/მონოგრაფიებით/სახელმძღვანელოებით. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და კომპეტენციებით. თუმცა, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია აჩვენებს, რომ პროგრამისთვის სასარგებლო იქნება თუ აკადემიური პერსონალი გამოაქვეყნებს უფრო მეტ სამეცნიერო ნაშრომს, განსაკუთრებით მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა იქნება ასევე სასარგებლო.
პროგრამას აქვს აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომლის განახლება ხდება ყოველ სემესტრში. თუმცა ეს ინფორმაცია არ არის ნათელი, რადგან არ არის კონკრეტული საათები მითითებული შესაბამის ცხრილში. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს არ აქვთ დიდი დატვირთვა და ეს არის მაქსიმუმ 8 საათი დღეში, კვირაში 4 სამუშაო დღე. ინტერვიუებზე დაყრდნობით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა არის შესაბამისი მათი მოვალეობების შესასრულებლად.
პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. სასწავლო პროცესის გარდა, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის განვითარებაში. აკადემიური პერსონალი სრულად აფილირებულია. აკადემიური პერსონალის 4 პროფესორი არის მენტორი მასწავლებელი, 1 - წამყვანი მასწავლებელი და 3 უფროსი მასწავლებელი. სტაჟირება ხორციელდება სკოლის მასწავლებლების ხელმძღვანელობით, მათ შორის არის 2 უფროსი მასწავლებელი და 1 წამყვანი სერტიფიცირებული მასწავლებელი.
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დამოწმებულია შესაბამისი განათლებით, დარგში პრაქტიკული გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით. ინტერვიუების განმავლობაში, როგორც გამოვლინდა, პროგრამის ხელმძღვანელი არის

უშუალოდ ჩართული პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და ა.შ.

პროგრამა 1 (მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის -300 კრედიტი)

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | **15** | **15** | **15** | **15** |
| პროფესორი: | 8 | 8 | 8 | 8 |
| ასოცირებული პროფესორი | 7 | 7 | 7 | 7 |
| ასისტენტ პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 5 | 0 | 0 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | 6 | 6 | 6 | - |

პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი)

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) | | | ხარისხის მქონე პერსონალი | |
| სულ აკადემიური პერსონალი | **9** | **9** | **9** | **9** |
| პროფესორი: | 5 | 5 | 5 | 5 |
| ასოცირებული პროფესორი | 4 | 4 | 4 | 4 |
| ასისტენტ პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 4 | 0 | 0 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | 6 | 6 | 6 | - |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის (300 ECTS) და სილაბუსები;
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ( 60 კრედიტი) და სილაბუსები)
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი.
- უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- უსდ-მ უნდა დაუჭიროს მხარი პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესებას, რაც ძალიან სასარგებლო იქნება პროგრამების განვითარებისთვის, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისთვის.

- უსდ-მ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის კონტროლისთვის, რაც მოიცავს მათ დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც.
- უსდ-მ უნდა დაუჭიროს მხარი მის აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო პროდუქტიულობის გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებით, მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებისათვის და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობისთვის.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსები: | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | x | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | x | ☐ | ☐ |

## 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის**
**შეფასება და ანალიზი**

ეს კომპონენტი ეხება მხოლოდ მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამას ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის (300 ECTS).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამაგისტრო თეზისი ხელმძღვანელებისთვის და სხვა პროცედურული საკითხები თეზისის დაცვასთან დაკავშირებით რეგულირდება "სამაგისტრო სწავლების დებულებით". აკადემიურ პერსონალს აქვს მაგისტრანტების ხელმძღვანელობის მრავალწლიანი გამოცდილება.

კვლევითი კომპონენტის განხორციელების, შეფასების, დაცვის პირობები და სხვა მოთხოვნები გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

| პროგრამა 1 - მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამას ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის (300 ECTS). | | | |
|---|---|---|---|
| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | ნაშრომების ხელმძღვანელებ ი | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ელმძღვანელები[10] | მათ შორის, აფილირებულ ი აკადემიური პერსონალი |
| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა პროფესორი:** | 10 | 10 | 10 |

[10] ნაშრომების ხელმძღვანელებს რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

| | | | |
|---|---|---|---|
| - პროფესორი: | 7 | 7 | 7 |
| - ასოცირებული პროფესორი | 3 | 3 | 3 |
| - ასისტენტ პროფესორი | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 0 | 0 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | _ |

აღწერა და ანალიზი - პროგრამა I ( მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის - 300 კრედიტი)

უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშის დანართში არ არის მოცემული ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შესახებ მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეთხვევაში (300 კრედიტი) ინტერვიუების განმავლობაში, ეს ფაქტი იყო ახსნილი იმ გარემოებით, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ პირველი და მეორე კურსის სტუდენტები სწავლობენ. როგორც ისინი ვარაუდობენ, აგრეთვე იგივე აკადემიური პერსონალი უხელმძღვანელებს. ადგილზე ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა პოტენციურ ხელმძღვანელებთან დაკავშირებით ინფორმაციის წარდგენა. უსდ-მ წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია, რომ აკადემიური პერსონალის 10 წევრი იქნება შეთავაზებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად. მათი რეზიუმები ადასტურებს მათ კომპეტენციას, რომ დაეხმარონ სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგების მისაღწევად.
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები ნათლად არის აღწერილი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის - 300 კრედიტი;

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- სამაგისტრო თეზისის შემოთავაზებული ხელმძღვანელების პერსონალური ფაილები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც
თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.3.აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის**

**შეფასება და ანალიზი**

უსდ აცხადებს, რომ ის რეგულარულად ატარებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვებს და შეფასებებს, რათა გამოკვეთოს მათი განვითარების საჭიროებები. თუმცა, ამ შედეგების ანალიზი არ არის მოცემული. წარმოდგენილ დოკუმენტები მოიცავს მხოლოდ ინფორმაციას, რომ გამოკითხვა ჩატარდა ბოლო პერიოდში, 2021-2022 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში. გამოიკვეთა, რომ აკადემიურ პერსონალს სჭირდებოდა მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით. აღნიშნულ კვლევაზე დაფუძნებით, გადაწყდა პერსონალისთვის სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება. გეგმის მიხედვით, შეთანხმდა 10 სემინარის ჩატარება 2022 წლის სექტემბრიდან 2022 წლის დეკემბრის შუალედში. ზოგიერთი სემინარი უკვე ჩატარდა, არსებობს მკვეთრი საჭიროება აკადემიური, სამეცნიერო, და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების, რაც მოიცავს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას. უსდ-მ უნდა ატაროს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოსწრების შეფასება და გაანალიზოს შეფასების შედეგები რეგულარულად.

ინტერვიუების განმავლობაში გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალს სჭირდება ფინანსური მხარდაჭერა, რომ გამოაქვეყნოს წიგნები, მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა ნახსენები, რაც არ არის საკმარისი

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მოსწრების გასაძლიერებლად. მოწვეული ლექტორები არ ფინანსდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების გეგმა
- ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ;
- აკადემიური პერსონალის კონფერენციებში, ვორქშოფებში, ტრენინგებში და ა.შ. მონაწილეობის სტატისტიკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- უსდ-მ რეგულარულად უნდა დაუჭიროს მხარი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას.
- უსდ-მ უნდა ჩაატაროს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოსწრების შეფასება და გაანალიზოს შეფასების შედეგები რეგულარულად. შეფასება უნდა მოიცავდეს მათი სწავლების დატვირთვას და კვლევის შედეგებს.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | x | | ☐ |
| **პროგრამა 2 ( სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | x | | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა

უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ორივე პროგრამა უზრუნველყოფილია საკლასო ოთახებით, კომპიუტერული ლაბორატორიებით, დარგის შესაბამისი ლაბორატორიებით, სავარჯიშო დარბაზით და სხვა საჭირო მოწყობილობებით, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის მიზნით. პროგრამების მატერიალური რესურსები არის ძირითადად მსგავსი. მატერიალური და საინფორმაციო რესურსები არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის. თუმცა, ინტერნეტის სიჩქარე არის ნელი და მუშაობს ხარვეზებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა I ( მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის - 300 კრედიტი)

ყველა სავალდებულო ლიტერატურა, რომლებიც მითითებულია სასწავლო პროგრამაში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონული რესურსების გამოყენების შესაძლებლობებით. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმა სილაბუსებში მითითებული წიგნები და უსდ-მ წარმოადგინა ყველა მათგანი. ბიბლიოთეკაში არის 7 კომპიუტერი, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან. ინტერნეტ კავშირი პერიოდულად წყდებოდა. ამის გამო, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეემოწმებინა სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობა აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. მაგ. კემბრიჯის ჟურნალები ონლაინ, დიუკის სამეცნიერო ელ. ჟურნალები და ა.შ.

ყველა ინტერვიუზე ნახსენები იყო, რომ პანდემიის განმავლობაში სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ონლაინ ყოველგვარი ხარვეზის გარეშე. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილი იყო ყველა საჭირო სასწავლო რესურსით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ( მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 60 კრედიტი)

ყველა სავალდებულო ლიტერატურა, რომლებიც მითითებულია სასწავლო პროგრამაში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონული რესურსების გამოყენების შესაძლებლობებით. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმა სილაბუსებში მითითებული წიგნები და უსდ-მ წარმოადგინა ყველა მათგანი. ბიბლიოთეკაში არის 7 კომპიუტერი, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან. ინტერნეტ კავშირი პერიოდულად წყდებოდა. ამის გამო, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეემოწმებინა სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობა აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. მაგ. კემბრიჯის ჟურნალები ონლაინ, დიუკის სამეცნიერო ელ. ჟურნალები და ა.შ.

ყველა ინტერვიუზე ნახსენები იყო, რომ პანდემიის განმავლობაში სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ონლაინ ყოველგვარი ხარვეზის გარეშე. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილი იყო ყველა საჭირო სასწავლო რესურსით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის (300 ECTS) და სილაბუსები;
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ( 60 კრედიტი) და სილაბუსები)
- უსდ-ს მატერიალური და საინფორმაციო რესურსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებული სამეცნიერო ბაზები იყოს სისტემატურად ხელმისაწვდომი აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის.

**კლასტერის საერთო რჩევები.** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | x | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 ( სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | x | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია შესაბამისი ბიუჯეტებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. ორივე პროგრამაზე სწავლა უფასოა. განსაკუთრებით, მასწავლებლის მომზადების პროგრამა (60 კრედიტი) დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ, და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა (300 კრედიტი) სრულად ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის (300 კრედიტი)

პროგრამა სრულად ფინანსდება საქართველოს საპატრიარქოს მიერ. პროგრამის შემოსავალი არის 55 000 ლარი ყოველწლიურად. ბიუჯეტის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ხარჯებს: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება, ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი, პროგრამის სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება და გაუმჯობესება, პროფესიული და სამეცნიერო განვითარების ხარჯები, ხარჯები პერსონალის მოტივირებისათვის და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის დოკუმენტი არ მოიცავს თანხას სტუდენტების კონფერენციებისა და მხარდაჭერის სერვისებისთვის, თუმცა, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს, დადასტურდა მათი სურვილი პროგრამის დამატებითი ხარჯებითა და რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი)

მასწავლებლის მომზადების პროგრამა არის სრულად დაფინანსებული საქართველოს მთავრობის მიერ. პროგრამის შემოსავალი არის 30 000 ლარი წლიურად. ბიუჯეტის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ხარჯებს: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება, ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი, პროგრამის სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება და გაუმჯობესება, პროფესიული და სამეცნიერო განვითარების ხარჯები, ხარჯები პერსონალის მოტივირებისათვის და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის დოკუმენტი არ მოიცავს თანხას სტუდენტების კონფერენციებისა და მხარდაჭერის სერვისებისთვის, თუმცა, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს, დადასტურდა მათი სურვილი პროგრამის დამატებითი ხარჯებითა და რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

მიზანშეწონილია ორივე პროგრამასთან მიმართებით, რომ ყველა პოტენციური შემოსავლის წყარო და ხარჯების ყველა კომპონენტი ნათლად გაიწეროს ბიუჯეტში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლებისთვის - ბიუჯეტი (რექტორის ბრძანება №01-03/35. 27.12.2021);
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (60 კრედიტი) (რექტორის ბრძანება №01-03/35. 27.12.2021);
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.
-

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები.**

- გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

-------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლების მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ( მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლების მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა) | | x | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) | | x | ☐ | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებზე, ფუნქციებსა და მუშაობის წესზე, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, სამსახურის ბრძანებითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით. სამსახურის მიზნები და სამუშაო მოიცავს: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკის განვითარებას, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში მონაწილეობას, სასწავლო და სამეცნიერო სწავლების ხარისხის ზრდის მხარდაჭერას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამებისა და უნივერსიტეტის სერვისების შეფასებას, კითხვარების შემუშავების ორგანიზებას და ინტერვიუებს, შედეგების ანალიზსა და საპასუხო რეკომენდაციების განვითარებას და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები, რომლებიც შექმნილია უნივერსიტეტში, ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პრინციპებს "დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, მოქმედება" კლასტერებში დაჯგუფებული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შეფასება ეფუძნება მსგავს პრინციპებს.

პროგრამების თვითშეფასება, რომელიც წარმოდგენილი იყო და თანდართული დოკუმენტები ადასტურებს, რომ პროგრამის ლიდერები და ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად არიან ჩართულნი შეფასების ინსტრუმენტების განვითარების პროცესში და შეფასების პროცესში. ორივე პროგრამების შეფასებისთვის, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია. ეს უზრუნველყოფს ორივე მეთოდს პირდაპირი (მაგალითად აკადემიური სწავლის შედეგების ანალიზი) და არაპირდაპირი (ანგარიშები უზრუნველყოფილი სტუდენტების მიერ, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ინტერვიუები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან). ამავე მიზეზით შეგროვდა მონაცემები სწავლის შედეგის შეფასების ფორმისა და მონაცემთა შეგროვების ფორმის გამოყენებით სტუდენტის შეფასებისთვის ფორმების

შესამოწმებლად. ორივე სრულად იქნება დანერგილი მომავალი სასწავლო წლიდან საუნივერსიტეტო პროგრამების შესაფასებლად. აღსანიშნავია, რომ კლასტერების შემქმნელი პროგრამების ლიდერებს აქვთ მკაფიოდ გააზრებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები, ხოლო აკადემიურ და განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს - არა. მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება პროგრამის შეფასების დაგეგმვის პროცესის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესში მათი ჩართულობის შესახებ.

თვითშეფასების ანგარიშებსა და ინტერვიუების შედეგებზე დაფუძნებით, ნათელია, რომ მხარეები ჩართული იყვნენ პროგრამების, სწავლის/სწავლების შედეგების, კურიკულუმებისა და სილაბუსების განვითარებისა და შეფასების პროცესში, სამუშაო ჯგუფების ფორმატში ასევე ინტერვიუების საშუალებით, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. მიუხედავად, მხარეების ჩართულობისა, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლა/სწავლების შედეგები მოითხოვს გაუმჯობესებასა და სიზუსტეს. მნიშვნელოვანია სწავლების/სწავლის შედეგების მარტივად და ნათლად აღწერა, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტური შეფასება. მარტივი და გასაგები უნდა იყოს იმის გაგება, თუ რა შეუძლია შეასრულოს სტუდენტმა, გამოყენებული სიტყვები არ უნდა იყოს ორაზროვანი და გაუგებარი, როგორიცაა: „გაიგებს“, „იცის“, „აქვს“ და ა.შ. ნათქვამიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს თავისი სამუშაო (ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები) მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის სწავლების/სწავლის შეფასების შედეგების უკეთ ფორმულირებისთვის (მოქმედებების გამოსახატავად გამოსაყენებელია სათანადო აქტიური ზმნები გაზომვადი); ეს გააადვილებს სწავლა/სწავლების პროცესების მონიტორინგს და შეფასებას შემდგომ ეტაპზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუების შედეგები აჩვენებს თვითშეფასების ჯგუფის აქტიურ ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განახლების პროცესში. ჯგუფი მოიცავს ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და დამსაქმებლებს. თვითშეფასების ჯგუფს ჰქონდა რამდენიმე შეხვედრა, რა ფორმატშიც მათ განიხილეს პროგრამის მიზნები, სწავლა-სწავლების შედეგები, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია თვითშეფასების ანგარიშებთან, მონაცემების შეგროვებასთან და დამუშავებასთან და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის შედეგების შეფასება
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევა.
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- დისტანციური სწავლების პროცესის შეფასება
- პროგრამების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები - 2021
- პერსონალის პედაგოგიური აქტივობების შეფასება - 2021
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააქტიუროს მუშაობა (ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები), რომ მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს უკეთ ფორმულირება სწავლა-სწავლების შეფასების შედეგების (გაზომვადი ზმნების გამოყენება); ეს გაამარტივებს სწავლა-სწავლების პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას შემდეგ ეტაპებზე.

**კლასტერის საერთო რჩევები.**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა განახორციელოს ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის პროგრამების შეფასების, შეფასების ინსტრუმენტების განვითარებისა და შეფასების პროცესში მათი ჩართულობის შესახებ.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლების მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ( მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის**
**შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების მიერ. პროგრამებს მიენიჭათ პირობითი აკრედიტაცია. გარე შეფასების მიზნებისთვის, უნივერსიტეტი აპირებს დანერგოს თანატოლთა შეფასების პრაქტიკა პარტნიორი უნივერსიტეტების, კურსდამთავრებულებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლების მასწავლებელთა მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 300 კრედიტი)

დაწესებულებამ წარმოადგინა დასკვნა ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ. ანგარიშების მიხედვით, ბევრი ცვლილება განხორციელდა ორივე პროგრამაში, პროგრამის მიზნებში და სწავლა-სწავლების შედეგებში და კურიკულუმისა და ინდივიდუალურ სილაბუსებში. შედეგად, პროგრამა ითვალისწინებს დარგის მახასიათებლების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ შინაარსს, მოცულობას და სტრუქტურას. დარგის მახასიათებლების შესაბამისად, პროგრამის სწავლა-სწავლების შედეგები 3,4, და 5 მოდიფიცირდა. შედეგი 6 "სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა" ჩანაცვლდა "კვლევითი უნარების განვითარება სრულყოფილი კვლევის დაგეგმვის მიზნით". გარე ექსპერტების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, კურსები "აკადემიური წერა", "ბოლო კვლევები განათლებაში" და "კვლევის მეთოდები განათლებაში" მოდიფიცირდა; არჩევითი კურსი "საქართველოს ისტორია II"

გადავიდა სავალდებულო კურსების ბლოკში, სათაურის ცვლილების გარეშე. და, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირდა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მასწავლებლის სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა - 60 კრედიტი)

დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც შეიცვალა და დაზუსტდა პროგრამის მიზნები და სწავლა/სწავლის შედეგები. სწავლება/სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებთან. სწავლა/სწავლის შედეგების მისაღწევად შეიცვალა სასწავლო კურსების შინაარსი, რაც მოითხოვდა კურსის გადახედვას „მასწავლებლის განათლების აქტუალური გამოწვევები", ხოლო სასწავლო კურსი „ადამიანის განვითარების თეორია" შეიცვალა კურსით „ სწავლებისა და განვითარების თეორიები". გარდა ამისა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართვის მიზნით მოეწყო სამუშაო შეხვედრა; გაიარეს გასაუბრება და მიღებული შედეგები აისახა პროგრამაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები
- გარე ხარისხის შეფასება და რეკომენდაციების განხორციელების ანგარიში 60 კრედიტიანი პროგრამისთვის
- გარე ხარისხის შეფასება და რეკომენდაციების განხორციელების ანგარიში 300 კრედიტიანი პროგრამისთვის
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები.** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლების მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ( მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის**

**შეფასება და ანალიზი**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში, არსებული წესისა და პროცედურების შესაბამისად, რომელიც აღწერილია დოკუმენტებში " სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობის შეფასების ინსტრუმენტები", "მონიტორინგი და პერიოდული შეფასების დაგეგმვა" და "უმაღლესი საგანმანთლებლო პროგრამების განვითარებისა და შეფასების წესი და პირობები" საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია შეაფასოს მათი განხორციელების ხარისხი, სწავლა-სწავლება და კვლევითი პროცესები, უნივერსიტეტის სერვისები.

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან, თანდართული დოკუმენტებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ჩანს, ყველა აქტიური ფორმა პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების არის ჩართულ მხარეთა გამოკითხვა. დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პროგრამის სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვა დასრულდა, რომელიც ეხებოდა მატერიალურ რესურსებს, დისტანციურ სწავლებასა და ინტერნაციონალიზაციის საკითხებს. გამოკითხვა განხორციელდა სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის ზოგადი საუნივერსიტეტო მიზნებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლა-სწავლების შედეგები იქნა შესწავლილი. ამ პერიოდისთვის, პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევა და დასაქმების ბაზრის კვლევა იქნა განხორციელებული. მიუხედავად ამისა, წარდგენილმა დოკუმენტებმა ვერ აჩვენა ბევრი დამსაქმებლების საჭიროებებისა და საბაზრო მოთხოვნების შესახებ. ძირითადად, მოცემული იყო ინფორმაცია დაწყებითი სკოლის მასწავლებლების ასაკობრივი განაწილების შესახებ და არა მასწავლებლის მომსახების საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესახებ. გამოკითხვის ინსტრუმენტი (მაგალითად, კითხვარი) მოითხოვს გაუმჯობესებას. რეკომენდირებულია, რომ ჩატარდეს ბაზრის სიღრმისეული კვლევა და პროგრამების საჭიროებების კვლევა მასწავლებლების მომზადების მიზნით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის. და, უნდა განვითარდეს ჩართული მხარეების გამოკითხვის ეფექტური ინსტრუმენტი.

პროგრამის მონიტორინგის მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს ყოველწლიურად და ყოველსემესტრულად, მათ შორის იყენებს პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს სწავლა-სწავლების შედეგების შეფასების მიზნით. ინტერვიუების განმავლობაში, ნათელი გახდა, რომ ძირითადი ინსტრუმენტი, რაც გამოიყენება სწავლა-სწავლების შედეგების შეფასების მიზნით იყო სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. პროგრამის მონიტორინგის დროს, ტარდება სამიზნე მარკერებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის სწავლა/სწავლების შედეგების შესწავლა. უნდა აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია აკადემიური მიღწევების ანალიზი პროგრამის ფარგლებში. სწავლა-სწავლების მონიტორინგის პროცესში, მნიშვნელოვანია და შესაბამისად, რეკომენდირებულია, სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ანალიზის გაკეთება ყოველ სემესტრში, რაც შეიძლება გახდეს ბაზა მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის როგორც არის სასწავლო კურსის შინაარსის ცვლილება, სწავლებისა და შეფასების მეთოდების ცვლილება ან შეფასების ფორმები და ა.შ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის, შესაბამისობის რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლა-სწავლების შედეგების შეფასების ინსტრუმენტი და მონაცემების შეგროვების ფორმა იქნა შემუშავებული

პროგრამის სამიზნე აუდიტორისთვის და სწავლა-სწავლების შედეგებისთვის. ეს უკანასკნელი გამოყენებულ იქნა სტუდენტის მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის მაგალითად, საპილოტე რეჟიმში. ორივე პროგრამის კურიკულუმის რუკები და სწავლა -სწავლების შედეგების შეფასების ინსტრუმენტები არის გარკვეულწილად რთული გასაგებად - კურიკულუმის რუკა აჩვენებს პროგრამის სწავლა-სწავლების შედეგების შესაბამისობას და სავალდებულო კურსს. უფრო მეტად ნათელი რომ იყოს, გირჩევთ მიუთითოთ თუ რა დონეზეა შესაძლებელი სწავლა-სწავლების შედეგის მიღწევა ( გაცნობა, გაღრმავება, გაძლიერება). ამის გარდა სასურველია განავითაროთ ერთი პირდაპირი ინსტრუმენტი თითოეული პროგრამისთვის სწავლა- სწავლების შედეგების შეფასებისთვის, სადაც პროგრამის სწავლა-სწავლების შედეგები იქნება შეგროვებული სავალდებულო სასწავლო კურსებთან და შესაბამის აქტივობებთან, სამიზნე მარკერებთან, პერიოდულ მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებთან და სწავლა-სწავლების შედეგების მონიტორინგთან ერთად. ამჟამად, ხსენებული ინფორმაცია არის გაფანტული სხვადასხვა დოკუმენტებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს ტრენინგი პროგრამის ლიდერებისა და აკადემიური პერსონალისთვის, რათა შეიმუშაოს უფრო ეფექტური და ადვილად აღქმადი პირდაპირი ინსტრუმენტი პროგრამების შედეგებისა და მათი სწავლა-სწავლების შესაფასებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ფორმები
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია, რომ ჩატარდეს ბაზრის სიღრმისეული კვლევა და პროგრამების საჭიროებების კვლევა მასწავლებლების მომზადების მიზნით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის. და, უნდა განვითარდეს ჩართული მხარეების გამოკითხვის ეფექტური ინსტრუმენტი, იგივე მიზნისთვის.
- რეკომენდირებულია სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ანალიზი გაკეთდეს ყოველ სემესტრში, რადგან ეს შესაძლებელია გახდეს ფუნდამენტი მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, რაც უნდა განხორციელდეს, როგორიც არის სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლისა და შეფასების მეთოდების ან შეფასების ფორმების ცვლილება და ა.შ.

**კლასტერის საერთო რჩევები.**

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს ტრენინგები პროგრამის ლიდერებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის, რომ განავითარონ უფრო ეფექტური და მარტივი პირდაპირი ინსტრუმენტი პროგრამების შედეგებისა და მათი სწავლა-სწავლების შეფასებისთვის.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლების მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ( მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი სწავლების მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხურები: მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი განათლების სწავლებისთვის, დონე VII, საგანმანათლებლო პროგრამა მასწავლებლების მომზადებისთვის, დონე VI

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| სარჩევი / სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების | ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დაწყებითი სწავლებისთვის ( 300 კრედიტი) | | | | | |
| პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ( 60 კრედიტი) | ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. |

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სახელი, გვარი, ხელმოწერა მილან პოლ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

**სახელი, გვარი, ხელმოწერა დიანა მჭედლიშვილი**

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქეთევან თოდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა იოანა აბლოთია